



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

დაბა ქედა



დადგენილება:დ-95.95213472

თარიღი:13/12/2021

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №51 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო:სსმ, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016294. 04/01/2019) შეტანილი იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	3500
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	2200
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1800
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1700
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1700
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1200
7	აპარატის უფროსი	1500
8	განყოფილების უფროსი	1200
9	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

